# იცხოვრო და მოკვდე ხელოვნებისთვის და სიყვარულისთვის

ავტორი მაია გოგსაძე

სიყვარულის ზღაპარი, რომელსაც მთელი მსოფლიო სულმოუთქმელად ადევნებდა თვალყურს, სამწუხაროდ, მწარე რეალობის ათასობით ნამსხვრევად იქცა. სკანდალური რომანი შეეხება გასული საუკუნის ცნობილი ადამიანების – ბერძენ მულტიმილიონერ არისტოტელე ონასისსა და წარმოშობით ბერძენ ამერიკელ დიდებულ საოპერო მომღერალ მარია კალასს.

ვნება გონებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. XX საუკუნის უდიდესი საოპერო მომღერლის მარია კალასის ცხოვრება არისტოტელე ონასისმა თავდაყირა დააყენა.



„მსურდა მარია ვყოფილიყავი, მაგრამ არსებობს კალასი, რომელიც მოითხოვს,

ღირსეულად ვატარებდე მის სახელს“.

მათი პირველი შეხვედრა ცნობილი ვენეციელი გრაფინიას სახლში კალასის საპატივცემულოდ მიძღვნილ საღამოზე შედგა. მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაულს მარიასა და არისტოტელეს მეუღლეებიც ესწრებოდნენ, მილიონერი მომღერალს ნაბიჯითაც არ შორდებოდა. გასაკვირიც არაფერი უნდა იყოს, მარია მშვენიერ ანტიკურ ბერძნულ ქანდაკებას ჰგავდა.

წყვილის ურთიერთობა გარშემომყოფთათვის თავიდანვე ვერ აღმოჩნდა გასაიდუმლოებული. კრუიზში ონასისი მარიას ყოველ საღამოს საცეკვაოდ იწვევდა, რის შემდეგ გაუჩინარებული შეყვარებულნი თავ-თავიანთ საძინებლებში მხოლოდ დილით ბრუნდებოდნენ.

კრუიზს მოჰყვა დიდებული მომღერლის პატივსაცემად გამართული მეჯლისი ლონდონურ სასტუმროში, სადაც არისტოტელე ონასისი მარიას გარშემო დარბაზის მთელ თავისუფალ სივრცეს მეწამული ვარდებით ავსებდა. 36 წლის ოპერის პრიმადონა, რომელსაც საოპერო მოღვაწეობის 10 წლის მანძილზე არაერთი ექსცენტრული თაყვანისმცემელი უხილავს, შეყვარებული იყო როგორც პატარა გოგონა.

სამწუხაროდ, ბედნიერება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. პირველი დარტყმა მარიამ მაშინ მიიღო, როდესაც ონასისს ფეხმძიმობის შესახებ აუწყა. ამ დროისათვის კალასი 42 წლისა იყო. თანადგომის მოლოდინში მყოფმა არისტოტელესგან მტკიცე უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ მას ორი შვილი უკვე ჰყავდა. საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშით შეპყრობილმა მარიამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა, რასაც მომავალში სასტიკად ნანობდა.

მარია კალასი ყურადღების ეპიცენტრში იყო შემოქმედებითაც და სკანდალური ქრონიკითაც, სადაც ძირითადი საკვანძო ადგილი სასიყვარულო სამკუთხედს ეკავა: კალასი, ონასისი და ჟაკლინ კენედი. მეორე შოკისმომგვრელი ცნობა იყო, როდესაც გაზეთებიდან ონასისის ღალატის შესახებ შეიტყო: მან ამერიკის შეერთებული შტატების მოკლული პრეზიდენტის ქვრივზე ჟაკლინ კენედიზე იქორწინა.

ამ ცნობილ ქალბატონებს შორის ონასისისთვის ბრძოლაში გამარჯვება ჟაკლინმა მოიპოვა, ხოლო დიდებული მარია მიტოვებული იქნა ბერძენი მილიარდერის მიერ. ყოველივე კი ფართო საზოგადოების თვალწინ „თამაშდებოდა“, პრესის, ტელევიზიის გაშუქების ფონზე და მარია „მაყურებლებისთვის“ უნებლიეთ ტრაგიკულ ფიგურად „გამოიძერწა“. და როგორც წესი, ბიოგრაფიაში „წვეთი სისხლი“ პერსონისადმი ინტერესსა და მიზიდულობას მუდამ ამძაფრებს.

კალასის ცხოვრება ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაა. საყვარელი ადამიანისთვის – მოღალატე მამაკაცისთვის ყველაფერი გაიღო: კარიერა, შეუმდგარი ოჯახური ბედნიერება და ვერდაბადებული შვილიც კი.

მარიას დასაცავად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ნიუანსი, რომელიც ბუნდოვან სურათს ერთგვარად ფარდას ხდის და კონტურებს ამკვეთრებს. მოგეხსენებათ, მარია კალასი დაახლოებით 30 წლამდე ზედმეტად დიდი წონისა გახლდათ და მამაკაცებისთვის მიმზიდველი არ იყო (მოგვიანებით მარია მკურნალობის მკაცრი კურსის ჩატარების შემდეგ თითქმის 30 კილოგრამით დაიკლებს, რაც ხმისთვის ძალზე სარისკოა). ბიოგრაფებს მარიას ოცდაათ წლამდე ცხოვრებიდან ერთი სასიყვარულო რომანის ეპიზოდიც კი არ აღმოუჩენიათ. მომღერალი თავის იმპრესარიოს, წლოვანებით უფროსს, ცოლად უსიყვარულოდ გაჰყვა. შეგახსენებთ, მარიას მეუღლე ბატისტო მენეგინმა მომღერლის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, როგორც მენეჯერმა და პროდიუსერმა.

ოპერაზე უსაზღვროდ შეყვარებული მენეგინისთვის სიმღერის ილუზორული სამყარო გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი იყო, ვიდრე საკუთარი წარმოების (აგურების ქარხნების) მფლობელობა. 26 წლის უცნობმა მომღერალმა და მასზე ორჯერ უფროსმა თაყვანისმცემელმა ჯერ შემოქმედებითი

ურთიერთობა დაამყარეს, ხოლო ორი წლის შემდეგ კიდეც იქორწინეს. აღსანიშნავია, რომ მარია ქორწინებამდე სასიყვარულო ვნებას არ მიუყვანია. ის მეუღლეში გასაოცარ ერთგულებასა და უსაფრთხო თავშესაფარს ხედავდა, ბავშვობიდან ტკივილამდე რომ აკლდა. თუმცა, პრაქტიკული მოსაზრებით ნაკარნახევი ქორწინება 50-იანი წლების რომანტიკულ სამყაროში ვერაფრით ვერ ეწერებოდა.

და ასე, 35 წლამდე „ჩათვლემილი“ მარია მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც ცნობილ მაგნატს, არისტოტელე ონასისს შეხვდა. სამწუხაროდ, თავდავიწყებით შეყვარებული მარია, ეს დიდებული მომღერალი, ჩვეულებრივ, ყოფით ცხოვრებაში სრულიად უმწეო აღმოჩნდა. მარია სასიყვარულო რომანის ყოველ წვრილმანს გადაჭარბებული ტრაგიზმით განიცდიდა, რაც გასაკვირი სულაც არ არის, ვინაიდან მარიას „არისტო“ ქალების გამძაფრებით მოტრფიალე გახლდათ. ყოველივეს კი, მათ ცხოვრებაში ჟაკლინ კენედის შემოჭრამ დაუსვა საბოლოო წერტილი.

მიუხედავად ყველაფრისა, ჯოვანი ბატისტა თანახმა იყო მარიას ახალი გატაცების ყოველგვარ გამოვლინებაზე თვალი დაეხუჭა, ღალატზეც კი. ბოლოს და ბოლოს მასზე 30 წლით უმცროს მარიასთვის, ოპერის ჭეშმარიტი დივასთვის დაუფიქრებელი ქცევის პატიება მართლაც შეიძლებოდა. მაგრამ ვაი რომ, მარია მეუღლის პატიებას სრულებით არ საჭიროებდა. მილანში დაბრუნებულმა მენეგინს ონასისთან მჭიდრო ურთიერთობისა და მასთან სამუდამო დაშორების შესახებ დაუყონებლივ აუწყა.

ასეა თუ ისე, არისტოტელე ონასისი დიდი მომღერლის პირველი და უკანასკნელი სიყვარული აღმოჩნდა. სწორედ მასთან კავშირმა განაცდევინა მარიას მანამდე სრულიად უცხო შეგრძნებები.

მომღერალს ხმასთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ ონასისთან რომანის დასაწყისში შეექმნა. მუდმივი ტრაქეიტი და ბრონქიტი თანდათან ხმას უზიანებდა, ხოლო წარმოქმნილი ხრინწი მარიას პროფესიისთვის ნამდვილ ღვთის რისხვას ემსგავსებოდა. მსოფლიოს საუკეთესო კლინიკებში მკურნალობის მიუხედავად, მარიას საშველი არსაიდან ჩანდა. ექიმები მიზეზად ფსიქოსომატურ დარღვევებზე მიანიშნებდნენ. მარიას სიყვარული იმდენად უსაზღვრო იყო, რომ არჩევანის შემთხვევაში არა ხმას, არამედ ონასისთან ურთიერთობას ამჯობინებდა. მაგრამ ბედის ირონიით აღმოჩნდება, რომ მოგვიანებით მარია ორივეს ერთად დაკარგავს.

1975 წელს არისტოტელე ონასისი კუჭის ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა, ხოლო ორი წლის შემდეგ სრულიად მარტო დარჩენილი მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალი – მარია კალასი. 53 წლის ასაკში უდიდესი და საბრალო, საბედისწერო და მიმნდობი ქალბატონი მარია კალასი პარიზში, საკუთარ სახლში გულის შეტევით გარდაიცვალა. უკანასკნელ გზაზე კალასს ონასისისგან ანდერძით დატოვებული ათასობით ყვავილი აცილებდა.

P.S. კალასის გასაოცარი ნამღერის საიდუმლო საკუთარი ტკივილებიდანაა ამოზრდილი... და აი ის, გატანჯული, მოტირალი მარია კალასი – სცენური და ნამდვილი სიკვდილით. ასე დასრულდა XX საუკუნის უდიდესი მომღერლის, დიდი არტისტის და ამავდროულად, ადამიანური სისუსტეების მქონე ქალბატონის – მარია კალასის სევდიანი ცხოვრება.

https://yandex.ru/video/%D0%B7%D0%B0%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%81/%D1%81%D0%B5%D1%80%D0%B8%D0%B0%D0%BB/qare-dard?source=relquery&filmId=1765430021208508992&text=%D0%BA%D0%B0%D0%BB%D0%BB%D0%B0%D1%81%20%D0%B8%20%D0%BE%D0%BD%D0%B0%D1%81%D1%81%D0%B8%D1%81%20%D1%84%D0%B8%D0%BB%D1%8C%D0%BC%202005